5-22.

# ნაკადული № 20



სურათიანი ჟურნალი

1908

მცირე

წლოვანთათვის.

ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—ცალთვალა მეზვრე.— (ლექსი) ი. ევდოშვილისა....... [illegible]

II—მელიას ოინები.—განდეგილისა ................ 8

III—პატარა მეხრეს წერილები.—წერილი მესამე.—ვ. თამაროშვილისა........................... 11

IV—რად არის მთვარეზე შავი ადგილები —(ფშაური ლეგენდა), აკაკი შანიძისა..................... 13

V—წვეთი წყალის ამბავი.— (ვაგნერიდან), დ. ჩადუნელისა... 16

VI—საუზმე —(ფრანგულით), სამ. ცომაიასი........... 19

VII—უდარდელი გუგული.—(ვაგნერიდან), დ. ყიფიანისა... 20

VIII—ანდაზები დ გამოცანები:—ა) შარადა,—ბ) არითმეტიკული ამოცანა,—გ) რებუსი და ახსნა.......... 23

# ნაკადული № 20

მცირე წლოვანთათვის.



ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


I—ცალთვალა მეზვრე. (ლექსი) ი. ევდოშვილისა....... 3

II—მელიას ოინები.—განდეგილისა ............... 8

III—პატარა მეხრეს წერილები.—წერილი მესამე.—ვ. თამროშვილისა............................ 11

IV—რად არის მთვარეზე შავი ადგილები —(ფშაური ლეგენდა), აკაკი შანიძისა......................... 13

V—წვეთი წყალის ამბავი – (ვაგნერიდან), დ. ჩადუნელისა... 16

VI—საუზმე —(ფრანგულით), სამ. ცომაიასი............ 19

VII—უდარდელი გუგული.—(ვაგნერიდან), დ. ყიფიანისა... 20

VIII—ანდაზები და გამოცანები:—ა) შარადა,—ბ) არითმეტიკული ამოცანა,—გ) რებუსი და ახსნა.......... 23



# ცალთვალა მეზვრე



ბეღურა სიხარულისგან
ერთიან გადაირია,
როცა დაბრაწულ ყურძენით
ჩაიტკბარუნა პირია!

—

ხარის წვეროზე წამოჯდა,
გასძახა ამხანაგებსა:
„ყურძენი მომწიფებულა,
თავი ანებეთ ყანებსა“!

—

ფრინველთა ჯარი შემოკრბა:
ყვავი, კაჭკაჭი, შაშვია,
ჯაფარა სწერავს სიასა,
ხომ არვინ დაგვრჩა კარშია!

—

ჩამოსხდნენ მწკრივად, დაიწყეს
რჩევა, თათბირი საქმისა,
ვინ არის წლეულ მეზვრედა:
ბერი, ჭაბუკი, რა ხნისა?

—

თოფი აქვს ზურგზე, თუ მარტო
ხელკეტით დაიარება,
რა მხრიდან უვლის ვენახსა
ცხადად, თუ დაიპარება?

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალთვალა არის, მე ვნახე,—
ყვავმა სთქვა დამტკიცებული,
ბერიკაცია, სოფელში
კეთილი, პატივცემული!

—

მართალი არის, მეც ერთხელ
პური მოვპარე გუდიდან,
ის ფანჩატურში ეძებდა,
მე ვიცინოდი ბუდიდან!

—

კაჭკაჭმა დაუდასტურა
ბრძენს თავჩაქინდრულს ყვაჩალსა,
ჩხიკვი-კი რაღაც საეჭვოდ
ისმენდა იმათ მართალსა!

—

ოფოფი წამოიჭიმა,
თავ-სავარცხელა, გულადი,
თავისზედ ძუნწი, კრიჟანგი,
სხვისსა სუფრაზედ პურადი!

—

სთქვა: რა გაშინებთ, ყურძენი
ვენახს მოუსხამს ბლომადა,
სულ ორიოდე მარცვალი
კმარა ჩვენს გასაძღომადა.

—

წავიდეთ, ძმებო, სწორე ვსთქვა:
ჭიაც ვერ ვნახე ვერსადა,
თუმცა იგი უფრო მირჩევნის,
მისი ჭამა გვაქვს წესადა!

—

ფერდი მიმეკრა ფერდზედა,
სიმშილი დიაღ ძნელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელა, გრილოში ისვენებს,
ვიცი ვენახის მცველია!

—

ბერო-კი ამ დროს მაყარას*)
მაგრა სწურავდა ხელშია,
ჩუმად უგდებდა იმათ ყურს
ვენახის შამბნარებშია!**)



დაეშვა ჯარი მაღლიდან.
ვენახს მოედვა წუთასა,
ვერა ხედავდნენ ბალახში
თავიანთ სულთამხუთავსა!

—

ჩაუხისკარტეს მტევნებსა,
თანაც მღეროდნენ მმურადა,

*) მაყარა—კაჟიანი თოფი.—**) შამბნარი—გაბმული ბალახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილმა ყურძენმა ვაზებზე
ყველანი გააგულადა!

—

მებაღე ამ დროს ჩუმ-ჩუმად
ეპარებოდა ქურდებსა,
თან დუდუნებდა: „ტიალად
დაგინარჩუნებთ ბუდესა!

—

ვაზიდამ ვაზთან გადადის,
ფეხზე აყენებს ჩახმახსა,
მაგრამ უეცრივ ცალ თვალამ
ფეხი წამოჰკრა ბალახსა!

—

წაიქცა თოფი გავარდა,
მაჟარამ დაიგრიალა,
შეშინებულმა ყვაჩალამ,
ჰაერში შეიფრთხიალა!

—

ოფოფს მოვარდა გვირგვინი,
კაჭკაჭი დარჩა უკუდო,
ჩხიკვი მიფრინავს ტყისკენა,
ბერო კი გორავს უქუდო!

—

ატირდა ჯარი ფრინველთა:
— წამოგვეპარა მტერიო,
მოულოდნელად დაგვეცა
თავზე ვენახის მცველიო!

—

აღარვის შეგვრჩა ქათიბი
დაუფლეთელი ტანზედა,
სირცხვილით ვიღას ვეჩვენოთ,
როგორ გავიდეთ კარზედა!

—

ტყვია არ მოგვხვდა არავის,
თავპირს ვიმტვრევდით სარზედა,
მადლობას უნდა ვსწირავდეთ
ბეროს ბრუციან თვალზედა!..—

—

დუდუნებს მეზვრეც ვაზებში:
— ვაი დედა თქვენს, ვაიო,
არ ეღალატნა ქალამანს,
არ დაგვეროდათ კაიო!

—

დუდუნებს გაწბილებული,
ამგვარი ფათერაკითა,
თოფს ვიღა ჩივის, ბალახში
ქუდს ეძებს ცალი თვალითა!

ი. ევდოშვილი



# მელიას ოინები

კბილის ტკივილისაგან გამწარებული დათვი თავგანწირული მირბი-მორბოდა, აღარ იცოდა რას მისწვდომოდა, როგორ დაეყუჩებინა მწვავე ტკივილი? ცოფი მოსდიოდა, დორბლებსა ჰყრიდა, გაბრაზებული ბურდღუნებდა, ვიღაცას და რაღაცას უჯავრდებოდა.

— რას მიკეშურება, ღვთისნიერო? — მოკრძალებით გამოელაპარაკა ჩირგვის მირას მიყუნტული მელია და მძიმედ თავი დაუკრა დათვს.

— ამ წყეულმა კბილის ტკივილმა ჭკუა დამიბნია. — მოკლედ უპასუხა დათვმა, — შენ რას აკეთებ აქ?

— დავიღალე და მინდა ცოტა დავისვენო, მერე ისევ გზას შევუდგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საით მიდიხარ, აქ ვეღარა იშვოვნე-რა შენი საკბილო?

— ღვთისნიერო, განა ვერა მხედავ, რომ სულის საქმეს შევუდექ და იერუსალიმს მივდივარ?! მარხვამა და ლოცვამ დამასუსტა, გზა კი გრძელი მაქვს გასავლელი... შენთვისაც ვილოცებ, რომ ღმერთმა გაპატიოს ცოდვები...

— მერე განა ისე მარხულობ, რომ სულ არასა სჭამ?— შეეკითხა დათვი და სახეზე სიამოვნება გამოეხატა.

— სრულიად არაფერს... ღმერთს აღთქმა მივეცი... მეყო, რაც ვიწუწკე, ეხლა სულის საქმეზე ვფიქრობ, მონაზვნად შევდექი.

— ჩემო მვირფასო დაო და ნათესავო, მერე ასე უპატრონოდ დაგდებას მიპირებ შენის მამის დის შვილის შვილის შვილსა?

რაღა იერუსალიმს მიდიხარ, ბარემ შენს სისხლსა და ხორცს მომხედო, ამაზე მეტ მადლს რას იზამ! ცხონებული დედაშენი რომ არ ყოფილიყო, მე ეხლა მკვდარი ვიქნებოდი, იმან გამომზარდა; ნათესაობას გარდა ჩვენ შორის სულიერი კავშირიც არის, რადგან დედიშენის ნაამაგარი ვარ. მოდი, ერთად ვიცხოვროთ და რაც ღმერთმა მოგვცეს, შუა გავიყოთ.— კვნესით ამბობდა დათვი და გახარებული იყო, რომ მელიასთანა სულით განსპეტაკებული მეგობარი იშოვა. იფიქრა, რადგან ეს მარხულობას შესდგომია, გამოვენათესავები, გულს მოვუგებ, რასაც ვიშოვი, ყველაფერს მე შევსანსლავ და ეს კი დარაჯად გამომადგებაო.

— არას გზით არ შემიძლია იერუსალიმს წაუსვლელობა!.. მეყო საქაოს ცხოვრება, ეხლა საიქიოზე ვზრუნავ. შენთან რომ დავრჩე, კიდევ ამიყოლიებს ცხოვრება და სულს წავიწყმედ... ეხლა ჩემი საზრდო თითქმის არაფერია... ათასში ერთხელ მინდვრის კალიას თუ გავკრავ კბილს და ცივ წყალს დავაყოლებ... მორჩა და გათავდა.. სათნოების გამომხატველის სახით ამბობდა სამონაზვნოთ გამზადებული მელია და მიწას დაშტერებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეფიცები დედიშენის სულს, რომ ჩემთან ვერავითარ ბოროტებას ვერ ნახავ. რა საკადრისია!.. მე განა ისე თავაშვებული გგონივარ, რომ წუწკობის მეტი არა მახსოვდეს-რა? ეგეც არ იყოს, რა ისე გაჭირვებული მე ვარ, მთელი ზამთრის სარჩო მოგროვებული მაქვს.

— მერე რომ დამამალო და მარხვა შემარევინო? ყოყმანით უთხრა მელიამ.

— შენ არ მომიკვდე! შვილებს გეფიცები! აბა, შენგან არ მიკვირს, სულს როგორ წაგაწყმედინებ.

— მაშ კარგი, მაგრამ ძალიან მეძნელება... ჯერ მითხარი რა და რა გაქვს მოგროვილი, რომ უცაბედად ხელი არ მომიხვდეს და ღმერთს არ შევცოდო.

— მე, დობილო, მაქვს თაფლი, პური, სიმინდი, კარტოფილი, და ათასნაირი ხორაგი, ეს ჩემს ბუნაგში. ცოტა მოშორებით კიდევ შენახული მაქვს ორი ქილა ყველი; ერთი სიტყვით, როგორც წარმოგიდგენია დაგანძული ოჯახი, რაღა!

— უცაბედად რომ ხელი ან ფეხი წავკრა რასმე? ხომ დავიღუპე! ხელების სავსავით უთხრა მელიამ.

— ბრმა ხომ არა ხარ, ჩემო ძვირფასო ნათესავო! ერთხელვე გეცოდინება, სად რა არის, და მოერიდები.

— დავრჩები... მაგრამ გაზაფხულზე უეჭველად უნდა წავიდე. ანკი ამ ზამთრის პირას როგორ უნდა დაგაგდო სნეული ნათესავი...

დათვი ცას ეწია სიხარულით: გაკეთდა იმისი საქმე, ეხლა დარდი აღარაფრისა ჰქონდა, ვერც თავისიანები და ვერც სხვა დათვები ვეღარ შეეცილებოდნენ საჭმელში, რადგან მელია არავის მიუშვებდა მოსაპარავად, თითონ კი, აბა, ხელს როგორ ახლებდა.

**განდეგილი**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა მეხრეს წერილები

წერილი მესამე



ქალაქელებო! წერილი თუმცა დაგიგვიანეთ, მაგრამ მაინცა და მაინც არც გასამტყუნარი ვარ, თქვენი პასუხი არა მაქვს მიღებული და გული გამიტყდა. ეხლა ჩვენში ზამთარია, მუხლებამდინ თოვლი სცემს და ამიტომ ნურც გაგიკვირდებათ, თუ ჩემი საქონელი, და მათთან ნაცნობი გიშერა და ირმა, ტუსაღებივით გომში არიან გამომწყვდეულები; მეც ჩემ ამხანაგებთან ერთად გომში დაგუზგუზებულ ცეცხლს მოვჯდომივარ და ამ წერილსა გწერთ. ჩვენებიანთ ზაქარო ერთ დიდ კაკანათს აკეთებს და თან თავის ყვირილით ყურები გამოგვიჭედა,—მე და ჩემა ღმერთმა ხვალე მთელი დუნიის ჩიტები ჩემ კაკანათში უნდა გამოვამწყვდიოო! დემეტრაანთ გიგა ცეცხლს ჩაჭკირკიტებს და სიმინდსა ხლის; როდესაც-კი სიმინდი ტკაცანს გაიღებს, ერთი ისეთს შეჭყვირებს ხოლმე, თითქო თედო—მეველეს სახრე მოჰხვდაო; ცის-

კარაანთ ნასუიდა ხვალ საკურდღლაოდ ემზადება და თავის მირგავარდნილ ქალამნებს ტულაპს უგდებს.

მართლაც კაი საკურდღლაოა, სულ თოვლში იფლობიან; გუშინ წინაც ჩემმა ბეზარამ ერთი ისეთი კურდღელი დაიჭირა, რო საქორწილო ჭედილასა ჰგვანდა.

მაინც დიდ თოვლში კურდღლაობა ადვილია. მალხაზიანთ სანდრო ერთი კვირაა, საშობაოდ კობალს აჭრელებს ნამჯით ცეცხლზე, თან გადიდგულებული ეხლავე იმედს იძლევა, შობას სხვა სოფლის ბიჭებს არ მოვუშვებ. ჩვენში და უფრო ბევრს ავიღებთო; მაგრამ დავანებოთ თავი ჩვენ ბიჭებს, ახლა ჩემი დარდი უნდა შეგატყობინოთ. დღეს დილით საქონელი რომ წყლის დასალევინებლად მიგვყვანდა, სოფლის დაღმართზედ ჩვენებიანთ ზაქროს ეშმაკობით ჩემი გიშერა წამექცა და ფეხი ძალიან იტკინა; ეხლა კოჭლობს, უნდა გამოგიტყდეთ, ჩემ გიშერას ფეხნატკენს რომ ვხედავ, მთელი დღე თვალები ცრემლებითა მაქვს სავსე და ეხლაც ამწერილის წერის დროს წამ და უწუმ გიშერასკენ ვიხედები, რომ იომამ წიხლი არ ესროლოს და ნამტკივნი ფეხი უფრო არ ატკინოს. თქვენ არ იცით, ქალაქელებო, რა არის გიშერას სიყვარული, უგიშეროდ ერთ დღეს ვერ გავძლებ და ამ წერილის წაკითხვით ნუ დამრახავთ, რომ მთელ მეხრეებში განთქმული გულადობით მეხრე ილიკო ბალღივით გიშერას ფეხის ტკენაზედ ტირის და ზაქროსი და სხვების დასაცინად გამხდარა.

თქვენი ძმა მეხრე ილიკო.

**ვ. თამროშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## რად არის მთვარეზე შავი ადგილები?

(ფშავური ლეგენდა)



ერთხელ მზესა და მთვარესა
შეექმნათ ამის დავაო:
ვინ დღით იაროს, და რომელს
წილად ხვდეს ღამის ჭავაო?

მთვარე ვაჟია და მზე კი
მთვარის და არის, ქალია,
ამიტომ მათი ცილობა
სწორედ რომ საკვირველია.

ქალმა დაიწყო მტკიცება:
— „ღამით მე როგორ ვიარო?
ქალი ვარ, შიშით ვკანკალებ,
როდესაც სახლში ვზივარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი ვაჟი ხარ, მამაცი,
შიში არა გაქვს მტრისაო,
ღამის ვარსკვლავთა კრებული
მხოლოდ შენ გინატრისაო...

მაშ ეგრე, ძმაო, მე შემხვდეს
მხოლოდ დღით სიარულიო,
შენ კი საკუთრად დაგრჩება
ვარსკვლავთა სიყვარულიო..."

პირობის ხელის მოწერა
ძმამ სწორედ აღარ ინება.
და ცის მნათობებს-და-ძმასა,
შეექმნათ ლანძღვა-გინება.

ბევრი იჩხუბეს და ბოლოს
ამა მუხლზედა შეთანხმდნენ
(ამა პირობის დადებას
მოწმენიც ბლომად თან ახლდნენ):

წილად იმას ხვდეს დღისით სვლა,
ვინც რომ მარდია ყველაზე
და ვინც მოასწრებს ადგომას
გათენების ხანს, დილაზე.

დაღამდა. მთვარე მიეცა
უდარდელ მოსვენებასა;
მზეს კი არ სძინავს და უცდის
ხვალინდელ გათენებასა.

ცისკარმა თავი წამოჰყო,
ვაჟს მაინც სძინავს ძალზედა,
მას არ აწუხებს სრულებით
ფიქრები მომავალზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოხტა ფიცხლავ ქალი-მზე,
შუქი მოჰფინა არესა
და თავზე ლაფი დაასხა
თავის ძმას, პირბადრ მთვარესა.

ამ დროს იმათი აღმზრდელი
დედა ცომს მათთვის ზელდაო
და, რა იხილა ვაჟს სძინავს,
საბრალოს ეცა ელდაო,

ცომში გასვრილი მარჯვენა
სახეში ჩასცა მძინარსო:
— „უკვე გათენდა და შენ კი,
უგვანო, მაინც გძინავსო?“

ხუთივე თითი დააჩნდა
მაშინვე მთვარეს დაღადო
და ამის გამო პირ-ბადრი
დღესაც ვერ არის ლაღადო.

აკაკი შანიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვეთი წყალის ამბავი

(ვაგნერიდგან)

ყველა რომ ვთქვათ, რაც წყლის წვეთს გადახდენია, ამისათვის რამოდენიმე დღეა საჭირო. ვისაც სურს დაწვრილებით გაიგოს ეს ამბავი, დააკვირდეს თვით წვეთს და თვალყური ადევნოს ყოველ მის ცვალება მოძრაობას; მე კი რამოდენიმე შემთხვევას აგიწერთ იმ ისტორიიდან, რაც წყლის წვეთმა განიცადა.

სწორედ ის წვეთი, რომელიც ჭიქაში დარჩა, მას შემდეგ, რაც თქვენ წყალი მიირთვით,— წინედ თქვენს ზემოდ ჰაერში მოგზაურობდა. შეიძლება, თქვენ კიდეც უცქეროდით მას, როდესაც ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ; მაგრამ არ იცოდით, რომ იქ იყო ეს წვეთიც, მხოლოდ ჯერ წყლად უქცეველი, თხელ ნისლად. ცივმა სუსხიანმა ქარმა დაუბერა და გაჰყინა თხელ ნისლად ქცეული წყალი. რომელიც ღრუბელს შეადგენდა. ნისლის წყალი თოვლის ლამაზ, პატარა ვარსკვლავებად იქცა; მათ ვერცხლივით ბზუინვა დაიწყეს და ნელ-ნელა მიწისაკენ დაეშვნენ. ცხადია, ისინი უფრო მძიმენი შეიქნენ, ვინემ წინედ, როდესაც ჯერ კიდევ ღრუბელს შეადგენდნენ. „თოვლს, თოვლს! მხიარულად გაიძახიან ბავშები და პატარა ციგებს მიასრიალებენ, აკეთებენ თოვლის კაცებს და სიცილ-კისკისით ერთმანეთს თოვლში აგორებენ.

ერთი ასეთი თოვლის ვარსკვლავი, ბევრ სხვასთან ერთად, დავარდა კლდიან მთაზე. ქარმა ის კლდის დაღარულ პირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისროლა. მეორე დღეს მზემ შუადღისას კლდეს დაანათა, მისი სხივები ქვას დაეცა და გაათბო:—თოვლის პატარა ფერფლი გალხვა და წყლის წვეთად იქცა. მაგრამ მარტო იმას არ დაემართა ეს ამბავი, არამედ სულ ყველა იმის ამხანაგებს: თოვლი გადნა და კლდის დაღარულ პირში წყალმა წვეთ წვეთად იწყო დენა.

ღამე ისევ აცივდა და წყალი ხელახლა გაიყინა. კლდის დაღარული პირი შიგ მოგროვილ თოვლისთვის ვიწრო შეიქნა. თოვლი და ყინული იმდენად გაფართოვდა, რომ კლდე გააპეს, ზამთარში ბევრი უბედურება მიაყენეს კლდეს; გაზაფხულზე-კი, როდესაც მოგროვილი თოვლი მთლად გადნა, კლდის პირმა თავი ვეღარ შეიმაგრა ძველ ალაგას და ქვემოდ დაეშვა.

ყინული დადნა, წვეთები შეერთდა და პატარა ნაკადულად გადაიქცა. მეწისქვილემ წყალს ღარი დაუდო. პატარა ნაკადული ისეთი ძალით დაეჯახა წისქვილის ბორბალს, რომ ბზრიალასავით აატრიალა. თითო წვეთს, რასაკვირველია, ბორბლის დაბრუნება არ შეეძლო, მაგრამ ყველამ ერთად კი ადვილად მოახერხა. ბორბალმა დააბრუნა წისქვილის დიდი ქვა და ეს უკანასკნელი ხომ პურის და სიმინდის მარცვლებს ფქვავს. ფქვილისას ხაბაზი აცხობს პურს, და ქადა-ნაზუქს.

წყალს უნდა დავუმადლოთ, რომ დღეს გემრიელ საუზმეს შევექეცით. წისქვილის ბორბლიდან ჩამონადენი წყალი ისევ ერთად იყრის თავს და თავის გზას განაგრძობს. გზაზე ამხანაგებს იძენს და ბოლოს დიდ მდინარედ იქცევა. დიდ მდინარეებში იმდენი წყალი იყრის თავს, რომ თამამად შეუძლია ვეებერთელა ხომალდების და ნავების ზიდვა.

ერთხელ მდინარესთან მივიდა კაცი და კოკით წყალი ამოიღო. კოკაში მოჰყვა ჩვენი წვეთიც. კაცმა ეს წყალი ორთქმავალის ქვაბში ჩაასხა და ქვემოდან დიდი ცეცხლი შეუკეთა. რამდენადაც ცეცხლის ალი ძლიერდებოდა, იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი ვაჟი ხარ, მამაცი,
შიში არა გაქვს მტრისაო,
ღამის ვარსკვლავთა კრებული
მხოლოდ შენ გინატრისაო...

მაშ ეგრე, ძმაო, მე შემხვდეს
მხოლოდ დღით სიარულიო,
შენ კი საკუთრად დაგრჩება
ვარსკვლავთა სიყვარულიო..."

პირობის ხელის მოწერა
ძმამ სწორედ აღარ ინება.
და ცის მნათობებს-და-ძმასა,
შეექმნათ ლანძღვა-გინება.

ბევრი იჩხუბეს და ბოლოს
ამა მუხლზედა შეთანხმდნენ
(ამა პირობის დადებას
მოწმენიც ბლომად თან ახლდნენ):

წილად იმას ხვდეს დღისით სვლა,
ვინც რომ მარდია ყველაზე
და ვინც მოასწრებს ადგომას
გათენების ხანს, დილაზე.

დაღამდა. მთვარე მიეცა
უდარდელ მოსვენებასა;
მზეს კი არ სძინავს და უცდის
ხვალინდელ გათენებასა.

ცისკარმა თავი წამოჰყო,
ვაჟს მაინც სძინავს ძალზედა,
მას არ აწუხებს სრულებით
ფიქრები მომავალზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოხტა ფიცხლავ ქალი-მზე,
შუქი მოჭფინა არესა
და თავზე ლაფი დაასხა
თავის ძმას, პირბადრ მთვარესა.

ამ დროს იმათი აღმზრდელი
დედა ცომს მათთვის ზელდაო
და, რა იხილა ვაჟს სძინავს,
საბრალოს ეცა ელდაო,

ცომში გასვრილი მარჯვენა
სახეში ჩასცა მძინარსო:
— „უკვე გათენდა და შენ კი,
უგვანო, მაინც გძინავსო?“

ხუთივე თითი დააჩნდა
მაშინვე მთვარეს დაღადო
და ამის გამო პირ-ბადრი
დღესაც ვერ არის ლაღადო.

აკაკი შანიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვეთი წყალის ამბავი

(ვაგნერიდგან)

ყველა რომ ვთქვათ, რაც წყლის წვეთს გადახდენია, ამისათვის რამოდენიმე დღეა საჭირო. ვისაც სურს დაწვრილებით გაიგოს ეს ამბავი, დააკვირდეს თვით წვეთს და თვალყური ადევნოს ყოველ მის ცვალება მოძრაობას; მე კი რამოდენიმე შემთხვევას აგიწერთ იმ ისტორიიდან, რაც წყლის წვეთმა განიცადა.

სწორედ ის წვეთი, რომელიც ჭიქაში დარჩა, მას შემდეგ, რაც თქვენ წყალი მიირთვით,— წინედ თქვენს ზემოდ ჰაერში მოგზაურობდა. შეიძლება, თქვენ კიდეც უცქეროდით მას, როდესაც ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ; მაგრამ არ იცოდით, რომ იქ იყო ეს წვეთიც, მხოლოდ ჯერ წყლად უქცეველი, თხელ ნისლად. ცივმა სუსხიანმა ქარმა დაუბერა და გაჰყინა თხელ ნისლად ქცეული წყალი. რომელიც ღრუბელს შეადგენდა. ნისლის წყალი თოვლის ლამაზ, პატარა ვარსკვლავებად იქცა; მათ ვერცხლივით ბწყინვა დაიწყეს და ნელ-ნელა მიწისაკენ დაეშვენ. ცხადია, ისინი უფრო მძიმენი შეიქნენ, ვინემ წინედ, როდესაც ჯერ კიდევ ღრუბელს შეადგენდნენ. „თოვლს, თოვლს! მხიარულად გაიძახიან ბავშები და პატარა ციგებს მიასრიალებენ, აკეთებენ თოვლის კაცებს და სიცილ-კისკისით ერთმანეთს თოვლში აგორებენ.

ერთი ასეთი თოვლის ვარსკვლავი, ბევრ სხვასთან ერთად, დავარდა კლდიან მთაზე. ქარმა ის კლდის დაღარულ პირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისროლა. მეორე დღეს მზემ შუადღისას კლდეს დაანათა, მისი სხივები ქვას დაეცა და გაათბო:—თოვლის პატარა ფიფ-ფლი გალხვა და წყლის წვეთად იქცა. მაგრამ მარტო იმას არ დაემართა ეს ამბავი, არამედ სულ ყველა იმის ამხანაგებს: თოვლი გადნა და კლდის დაღარულ პირში წყალმა წვეთ წვე-თად იწყო დენა.

ღამე ისევ აცივდა და წყალი ხელახლა გაიყინა. კლდის დაღარული პირი შიგ მოგროვილ თოვლისთვის ვიწრო შეიქნა. თოვლი და ყინული იმდენად გაფართოვდა, რომ კლდე გააპეს, ზამთარში ბევრი უბედურება მიაყენეს კლდეს; გაზაფხულზე-კი, როდესაც მოგროვილი თოვლი მთლად გადნა, კლდის პირმა თავი ვეღარ შეიმაგრა მველ ალაგას და ქვემოდ დაეშვა.

ყინული დადნა, წვეთები შეერთდა და პატარა ნაკადულად გადაიქცა. მეწისქვილემ წყალს ღარი დაუდო. პატარა ნაკადუ-ლი ისეთი ძალით დაეჯახა წისქვილის ბორბალს, რომ ბზრიალასავით აატრიალა. თითო წვეთს, რასაკვირველია, ბორბლის დაბრუნება არ შეეძლო, მაგრამ ყველამ ერთად კი ადვილად მოახერხა. ბორბალმა დააბრუნა წისქვილის დიდი ქვა და ეს უკანასკნელი ხომ პურის და სიმინდის მარცვლებს ფქვავს. ფქვილისას ხაბაზი აცხობს პურს, და ქადა-ნაზუქს.

წყალს უნდა დავუმადლოთ, რომ დღეს გემრიელ საუზმეს შევექეცით. წისქვილის ბორბლიდან ჩამონადენი წყალი ისევ ერთად იყრის თავს და თავის გზას განაგრძობს. გზაზე ამ-ხანაგებს იმენს და ბოლოს დიდ მდინარედ იქცევა. დიდ მდი-ნარეებში იმდენი წყალი იყრის თავს, რომ თამამად შეუძლია ვეებერთელა ხომალდების და ნავების ზიდვა.

ერთხელ მდინარესთან მივიდა კაცი და კოკით წყალი ამოიღო. კოკაში მოჰყვა ჩვენი წვეთიც. კაცმა ეს წყალი ორთქმავალის ქვაბში ჩაასხა და ქვემოდან დიდი ცეცხლი შე-უკეთა. რამდენადაც ცეცხლის ალი მლიერდებოდა, იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის წვეთები ცხელდებოდა; ისინი ჯერ გაფართოვდენ ნამეტანი სიცხისაგან და ბოლოს ორთქლად იქცნენ.

ორთქლს ბევრი ადგილი სჭირდება; ქვაბი მისთვის მალიან ვიწრო შეიქნა და მის სპილენძის კედლებს ღონივრად მიაწვა. მაშინ მემანქანემ ორთქლს ვიწრო გასავალი უჩინა,— ორთქლმა ქშენით იწყო მილში დენა, მიაწვა მანქანის საცობს (პორშენ) და მოძრაობაში მოიყვანა; ამან მანქანის სხვა ნაწილები აამოძრავა და ამათ აჰყვა გორგოლაჭები. ამრიგად ორთქლმავალი მაზე მიბმულ ვაგონებიანად დაიძრა ადგილიდან და გზას გაუდგა. წყლის წვეთი, ორთქლის სახით, ხელს უწყობს ორთქლმავალის მიმოსვლას, რომლის ვაგონებში ეგების თქვენც ბევრჯერ შეგხვედრიათ მოგზაურობა. მაგრამ როგორც-კი ორთქლი მანქანას მოძრაობაში მოიყვანს, თვითონაც ორთქლმავალის მილიდან ჰაერში ადის, მოთეთრო ღრუბლად იქცევა, სანამ ისევ არ გაიყინება და თოვლის ქქვს კუთხიან ვარსკვლავებად გადაქცეული დედამიწაზე არ დაეშვება. ადვილად მოხდება, რომ ორთქლი თოვლის მაგიერად წვიმის პატარა წვეთების სახით დაბრუნდეს მიწაზე; მაშინ წვიმის წყლის რამოდენიმე ნაწილი მიწაში ჩადის და რამოდენიმე ხნის შემდეგ იქიდან წყაროდ გამოვა, ან ჭას ამოსთხრიან, საიდანაც ჩვენ ვიღებთ წმინდა წყალს წყურვილის მოსაკლავად.

**დ. ჩადუნელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საუზმე

(ფრანგულით)



პატარა ჟულიეტამ სადილი დაიწუნა, ხელი არ ახლო. დედა დაჰპირდა, — საღამოსთვის უკეთესს მოგიმზადებო და კარტოფილის სათხრელად წაიყვანა. ჟულიეტამ დიდ ხანს აგროვა კართოფილი, ბინდისას სახლში დაბრუნდა და ვახშმად დაბრძანდა. ახლა კი საშინელი მადა გაეღვიძა და დიდი სიამოვნებით მიირთვა სწორედ ის, რაც სადილად ჰქონდა და რასაც წეღან ისეთი წუნი დასდო.

— დედა, საუცხოვო ვახშამი გვაქვს, სრულიადაც არა ჰგავს წეღან რომ მომიტანე — შენიშნა ჟულიეტამ.

— არა, შვილო, ღიმილით მიუგო დედამ, ეს ისევ ისაა, რაც სადილად გვქონდა; განსხვავება იმაშია, რომ წეღან არა გშიოდა და ამიტომ გეჩვენა უგემურად; ახლა კი ჯაფის შემდეგ მადა გაგეხსნა და ესაა სწორედ მიზეზი, რომ საჭმელი გემრიელი შეიქმნა. შრომა და ჯაფა, ჩემო მტრედო, დიდი მაოგებელია ადამიანისათვის.

**სამ. ცომაია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უდარდელი გუგული

(ვაგნერიდან)

მონადირეს გასასყიდად მრავალი სხვა და სხვა ნაირი ფრინველები ჰყავს გალიებით გამოფენილი: ბეღურა, მესკია, შაშვი, კაჭკაჭი... სხვათა შორის გუგულიც ჰყავს. გამყიდველს მისი იმედი უფრო აქვს, რადგანაც გუგული იშვიათი ფრინველია. ბევრ თქვენგანს ალბად ხშირად სმენია გუგულის ძახილი და შეიძლება დაგითვლიათ კიდეც, თუ რამდენჯერ გაუმეორებია მას თავისი „გუგუ, გუგუ", მაგრამ ახლოს მცირედ თუ გინახავთ იგი. მეტად ცუდი დღე ადგება გუგულს, როდესაც დაიჭერენ და გალიაში ამოაყოფინებენ თავს. ტყვეობაში მცირედ თუ სძლებს და ჩვეულებრივ რამოდენიმე დღის შემდეგ კვდება. მაგრამ იმ გუგულს, რომელზედაც ჩვენი ამბავი დავიწყეთ, მაინც კარგი მოუვიდა, რომ მონადირეს ხელში ჩავარდა, რადგანაც საშინელ მდგომარეობაში იყო. დედას მისთვის ისეთი მზრუნველობა არ გაუწევია, როგორც სხვა ტყის ფრინველებმა იციან. ყოველი ფრინველი ჩვეულებრივ თავისთვის ლამაზს, თბილ ბუდეს იკეთებს და ამისათვის, ვინ იცის საიდგან, მოაქვს ბეწვი, ბუმბული, ჩალა, ტალახი და სხვა მასალა, რომლისგან პატარა, მრგვალ, ჩაღრმავებულ ლოგინს იწყობს, რამოდენიმე კვერცხსა სდებს და მთელი კვირაობით, ზედა ზის. გამოიჩეკებიან თუ არა ბარტყები, მშობლები დილიდგან საღამომდის დაჭრიალებენ და მათთვის საზრდო მოაქვთ: ბუზები, ჭიები და სხვა. გუგულს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დავიდარაბა მეტად ეხარება. ის თავისთვის ბუდესაც არ იკეთებს. მას არხეინად ტყეში ფრენა და თავის კუჭზე ზრუნვა უფრო მოსწონს. კვერცხს სხვის ბუდეში სდებს, განსაკუთრებით პატარა ჩიტის ბუდეში, და თავის ბარტყს სხვას აჩეკინებს. სწორედ ასევე მოიქცა ჩვენი გუგულის დედაც: კვერცხი სხვის ბუდეში, ხის ფუღუროში დასდო. პატარა ჩიტებმა გუგულის კვერცხიც გამოსჩიკეს და მეტად უხაროდათ, როდესაც თავის ბარტყებთან პატარა გუგული გამოიჩიკა და მათსავით ჭყივილი დაიწყო. ისინი დაუღალავად დაეძებდნენ საზრდოს თავიანთ ბარტყებისათვის, რომელნიც პირს ფართოდ აღებდნენ, როდესაც მშობლებს მათთვის დაჭერილი ჭია მოჰქონდათ და გახარებულნი ჭყლოპინებდნენ.

ყველაზე მეტს ახალგაზრდა გუგული ჭყიოდა, თანამოძმეებს თავიდგან იშორებდა და ყველაზე მეტი საზრდო მას რჩებოდა. მალე ბარტყებიც წამოიზარდნენ, ფრენა ისწავლეს, ბუდეს თავი მიანებეს, ხიდგან ხეზე, ტოტიდგან ტოტზე დაფრინავდნენ და თავი სორდგენილი თქო კანწყანებულ ტყეში თითონვე შოვობდნენ. რა ... ეს მეტად უჭირდათ,
მა უნდა გაიყოს 5 კვერცხ
მაგრამ დღით ... ბს უფრო მარდად იჭერდნენ, ას ... კვერცხი, ხოლო ერთი კვერც ... რ ჩამოუვარდებოდნენ. გუგ ... იდანაც კვერცხებს ამოიღებენ. ... ნა არ შეეძლო და ისევ მის ... ბის ქვეშ უნდა დარჩენილიყ ...

---

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამასობაში ... ი შორს, თბილ ქვეყნებში გასამგ ციზანა მკვდარი ცოცხალს ძმიერმა გუგულმა ბუდიდგან გადმოსვლა და სხვ ... ებთან ფრენა სინჯა. მაგრამ დახე უბედურებას! იგი ბუდეში დიდხანს იჯდა, მეტად გაიზარდა და დამსხვილდა, ასე რომ ფუღუროდგან, აღარც გამოძრომა, აღარც თავისუფლათ გამოსვლა შეეძლო და ცოცხლად დამარხული შეიქნა. საცოდავი იფხაჭნება, ფართხალობს, ხეს ნისკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტსა ხცემს... მაგრამ არაფერი არ შველის. მის გამზრდელ ფრინველებს შველა არ შეუძლიანთ. მხოლოდ საბრალოზე გული შესტკივათ, რამოდენიმე დღე კიდევ რჩებიან, უვლიან და საზრდოს უზიდავენ, ხან ბუხს, ხან კოღოს, რომ საშშილით სული არ ამოძვრეს. მაგრამ იმათ გამგზავრების დრომაც მოაღწია, გზას უნდა გაუდგნენ, რომ თითონ არ შეიქნენ დაგვიანების მსხვერპლნი.

ტყეში მონადირე მიდის და გაკვირვებულს ჩიტის გულშემზარავი ჭყივილი ესმის. ხეს უახლოვდება და დატყვევებულს გუგულს ხედავს. დანას ამოიღებს და ფუღუროს პირს აფართოვებს. შემდეგ ფრინველი ამოჰყავს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფართხალებს და გაფრენას ცდილობს, გალიაში სვამს და გახასყიდად მოკლავს.

აი ამნაირად ამოჰყო თავი საბრალო გუგულმა ბაზარში.

დ. ყიფიანი.

...ოენ და გალიაში ა...
...თუ ხმლებს და ჩვეულებრ...
...ა. მაგრამ იმ გუგულს, რომელ...
..., მაინც კარგი მოუვიდა, რომ მონა...
...ადგანაც საშინელ მდგომარეობაში
...ისეთი მზრუნველობა არ გაუწევია,
...რინველებმა იციან. ყოველი ფრინ...
...თვის ლამაზს, თბილ ბუდეს...
...იცის საიდგან, მოაქვს ბ...
...სალთა, რომ...




ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარადა

(წარმოდგენილი თეო კანდელაკის მიერ)

ღამის ერთი ფრინველის სახელს და ოთხჯერ ათის მეხუთედს რომ მივუმატოთ თანხმობის აღმნიშვნელი სიტყვა, მივიღებთ შინაურ პირუტყვის სახელს.

---

## არითმეტიკული ამოცანა

(წარმოდგენილი თეო კანდელაკისაგან)

ხუთმა კაცმა უნდა გაიყოს 5 კვერცხი ისე, რომ თითოს შეხვდეს თითო კვერცხი, ხოლო ერთი კვერცხი დარჩეს იმავე კალათში, საიდანაც კვერცხებს ამოიღებენ.

---

## გამოცანები

კიზი კიზი კიზანა მკვდარი ცოცხალს იჭირავს.

---

ეს ჩემი პატარა მანანა თავზედ ცეცხლს იკიდებს.

---

ხუყველა წაწვა წამოწვა, კოკონა ბერი ზეზეა.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რებუსი




***

### მე-18 №-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:

ანაგრამის ახსნა:—ჯაფარა—ფარაჯა.

გამოცანების ახსნა:—1) პურის თავთავი.—2) ფეხი.—3) ციცინათელა.

რებუსის ახსნა:—მელანიამ ბატი-ბუტი ჭამა.

### მე-19 №-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:

გამოცანის ახსნა:—წელიწადი.

რებუსის ახსნა:—ეს თარი ღირს ორასი მანათი.

არითმეტიკული ამოცანის ახსნა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3 | 4 | 5 | 1 | 2 |
| 5 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 1 |
| 4 | 5 | 1 | 2 | 3 |

რედაქტორი მ. ი. ღემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

**პრემიები:** 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**. 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**